ფასი 10 მ.

ეშმაკების ეპოქა

№ 23

1920 წ.

აპრილის 25

სამი დევ-გმირი.

სამი დევ-გმირი მოგვადგა, სამივ რუსეთის შვილია,
დარიალის კარს დაეცა მათი საზარი ჩრდილია.
მარჯვნით—ლენინი და მარცხნით—ტროცკი, სტრატეგათ ზრდილია.
წინ მოუძღვება ვაჟკაცი ლომგული, მძლავრი, ფრთხილია,
არც მიკულას ჰგავს, არც არის იგი მეფრომის ილია...
საბჭოთა ქვეყნის რაინდი, წმინდა რუსული ტილია!

ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ.

ვერ დავფიცავ: ხანდახან ლექსს მეც ვწერ ხოლმე, მაგრამ პოეზია ძალიან მიყვარს. ეს ჩემი გრძნობა სიყვარულისა ისე ძლიერია, რომ ლექსის წერას ვერავინ ჩამითვლის წინად-განზრახულ ბოროტმოქმედებათ. გულწრფელად მოგახსენებთ: როდესაც ვიწყებ ლექსის წერას, ყოვლად კეთილი და პატიოსანი ზრახვა მაქვს გულში და მხოლოდ მაშინ ირკვევა, რომ პოეზიის მუზისათვის შეურაცხყოფა მიმიყენებია, როცა ვათავებ ხოლმე წერას. ამ-სდაგვარად, კიდეც რომ მიჩივლოს სასამართლოში ზემოხსენებულმა მუზამ, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ნაფიცი მსაჯულები ასეთ განჩინებას გამოაცხადებენ: მართალია, შეურაცყოფა მიუყენებია, მაგრამ დამნაშავე არ არისო.

ეს, ბატონებო, სიტყვამ მოიტანა, თორემ მუზა მე არასოდეს არ მიჩივლებს. ამა თქვენ თითონ გასაჯეთ, როგორ უნდა მოუბრუნდეს ენა ჩემდა საჩივლელად, როდესაც მე, თუნდაც ამ წერილით, მის მოსარჩლეთ და დამცველად გამოვდივარ.

მერე, არ იკითხავთ, ვისგან ვიცავ და ვფარველობ პოეზიის მუზას?

მაგრამ, სჯობია, დალაგებით მოგახსენოთ საქმის გარემოება.

სწორედ დღეის სწორს, ე. ი. გასულ შაბათს, „ქიმერიონში“ ჩავედი სადილის საჭმელად. ის იყო კიბე ჩავათავე და მარცხნით უნდა წავსულიყავი რესტორანში შესასვლელად, როდესაც უცებ, მარჯვენა მხრიდან, რაღაც უცნაური ხმა შემომესმა.

შეეჩერდი და ყურები დავცქვიტე. გარგა ხანს ვიდექი ასე სულ-გატრუნული და რაკი მაინც ვერ მივხვდი, რა უნდა ყოფილიყო ის უცნაური ხმა, მარჯვნით გამოვბრუნდი და მწერალთა ოთახის კარი შევაღე ფრთხილად, გაუბედავად. ნახევრად ბნელოდა გაუნათებელ ორ ოთახში, ის ხმა კი ახლა გარკვევით ისმოდა: ეს იყო ქალის გულ-ამოსკვნილი ქვითინი.

— ასი მკრან გულში მირჩევნის მტირალი ქალის ცქერასა!—გავიფიქრე მე, მინდოდა უკანვე გამოვბრუნებულიყავ, მაგრამ ცნობის მოყვარეობამ წამძლია და გაბედული ნაბიჯით შევედი შიგ.

მეორე ოთახის კუთხეში თვალი მოვჭარი ვილაცას სილუეტს. ჩემს შესვლისთანავე შეინძრა, წამოდგა და ქვითინიც შეწყდა. ახლა მხოლოდ თავშეკავებული სუნთქვა ისმოდა ძალით შეწყვეტილ ტირილის მაგიერ.

ელექტრონი რომ ავანთე, თვალწინ საოცარი სურათი დამიდგა: ჩემ პირდაპირ იდგა ზესთაბუნებრივი სილამაზის ქალი, დაფნის გვირგვინით შუბლ-შემკული. ტანთ ეცვა მთლიანი უწელო კაბა უცნაური ქსოვილისა და საუცხოოდ დაწყობილ ნაოჭებით ჩამოურბოდა ქვევით სარტყლიდან, რომელიც მკერდ ქვემოთ ჰქონდა შერტყმული.

ქალი შემკრთალის თვალებით მომჩერებოდა და იმ დიდრონ თვალებში აუწერელი მწუხარება და სულიერი ტანჯვა გამოჰკრთოდა.

— ვინა ბრძანდებით?.. რა დაგემართათ?—მივაძახე მე, გონს რომ მოვედი მოულოდნელ შთაბეჭდილებით გაშტერებული.

ქალმა არაფერი მიპასუხა და ისევ ისე მიყურებდა გულმოსაკლავის, მაგრამ უსაზღვროდ მშვენიერის თვალებით.

— მიბრძანეთ, რამ შემოგიყვანათ აქ? ვინა ბრძანდებით?—გავუმეორე მე.

ქალმა კიდევ არა მიპასუხა-რა, დაიხარა, აიღო იქვე იატაკზე მდებარე ორი სალამური, ერთი ერთ ხელში დაიჭირა, მეორე—მეორეში და ქანდაკებასავით გაჩერდა თვალწარმტაცის მოხდენილობით:

— ღმერთო ჩემო! სად მინახავს ეს ქალი? ვინ არის?-ვფიქრობდი მე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ სადღაც მენახა აი, სწორედ ამ პოზით, ამ სალამურებით და დაფნის გვირგვინით.

აღარაფერს ვამბობდი, ვუცქეროდი და ვსტკბებობდი მისი მშვენიერებით. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ჩვენი დუმილი, მხოლოდ ეხლა კი მან დაარღვია სიჩუმე და იმისი ხმა ისეთი იყო, როგორიც უნდა იყოს ვარდის ან ზამბახის ხმა, ლაპარაკი რომ შეეძლოსთ.

— რამ შემოგიყვანათ აქ? მკითხა მან.

— თქვენი ტირილი მომესმა და შემოვედი,—ვუპასუხე მე.

— მე დიდი ხანია ვტირი, მაგრამ ჯერ არავის მოუქცევია ყურადღება,-მწარეთ წარმოსთქვა მან და თვალები ცრემლით აევსო.

— ეს იმიტომ, ბატონო, რომ არავის გაუგონია თქვენი ტირილი... მე პირველმა მოვკარი ყური...

— თქვენ ეგრე გგონიათ?-გამაწყვეტინა მან; არა გცოდნიათ... მე სულ აქ ვდგევარ და ვტირი... მწერალთა კავშირის საბჭოს კრების დროსაც აქა ვარ ხოლმე... მხედავენ, ესმისთ ჩემი ქვითინი, მაგრამ რა გამოვიდა? ყურსაც არ იბერტყავენ!

— ეს ყოვლად შეუძლებელია!—წამოვიძახე მე.

— მართალს მოგახსენებთ!

— ვინა ბრძანდებით, ბატონო, და რამ მოგიყვანათ აქ?—ერთხელ კიდევ ვკითხე მე: სადღაც მინახავხართ კია, მაგრამ სადა და როდის, ველარ მოვიგონე.

— მე ევტერპა გახლავართ!—მიპასუხა მან.

— როგორ?—ჩავეკითხე მე, რადგან კარგათ ვერ გავარჩიე მისი სახელი.

— ევტერპა,—გარკვევით გაიმეორა მან.

— ევტერპა... ევტერპა...—რამდენჯერმე გავიმეორე მე და თუმცა კარგათ ვერ მოვიგონე, მაგრამ მახსოვდა კი, სადღაც გამეგონა ეს სახელი.

— დიაღ, ევტერპა, ერთი ცხრათაგანი, პოეზიის მუზა!—

ეს რომ მითხრა, მაშინვე თვალ წინ დამიდგა შორეული წარსული: საკლასო ოთახი. ბერძნულის მასწავლებელი, რომელსაც მოწაფეები „კვეტოს“ ვეძახოდით. ძველ კლასიკოს პოეტების თხზულებები, ცნობილ მანშტეინის გამოცემული და შიგ სურათები. თითქოს ახლაც მესმოდა „კვეტოს“ სიტყვები:

— მუზები სცხოვრობდენ პარნასზე, სვამდენ კასტალიის წყაროს წყალს, საიდანაც იძენდენ ზეშთაგონებას და მომავალის განჭვრეტის ნიჭსა. ცხრა და იყო: კლიო, ევტერპა...

— და აი, ერთი ამ ცხრა დათაგანი პარნასის მაგიერ „ქიმერიონის“ სარდაფში იმყოფებოდა ამ წუთში, ჩემ წინაშე იდგა და მეგაასებოდა!

ამაზე უფრო საკვირველი სასწაული განა კიდევ შესაძლო იყო?

— ღმერთო! ნუ თუ ეს დასაჯერებელია?— წამოვიძახე მე.

— როგორც ჰხედავთ!—მიპასუხა ევტერპამ.

— მერე, რამ ჩამოგაგდოთ აქ, ჯერ ჩვენს ქვეყანაში და შემდეგ ამ სარდაფში?

— ეს გრძელი ამბავი გახლავთ..—ათრთოლე ბულის ხმით წარმოსთქვა მან და თვალები კვლავ ცრემლით აევსო! რამ ჩამომაგდო? სირცხვილმა...

ევტერპამ ველარ შეიკავა თავი და ხელ ახლა გულმოსაკლავი ქვითინი დაიწყო.

როგორც იყო დავამშვიდე და სკამზე დავსვი. ეს მოულოდნელი და საოცარი ამბავი თან და თან უფრო საინტერესო ხდებოდა და მეც ალარ მოვეშვი მას, სანამ არ ვაამბომინე დაწვრილებით.

ევტერპამ დამაკეტინა კარი და დაიწყო:

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

თაგუნა.

შექანჯალებულის ლექსები.

ნანი, ნანა, ნანი, ნინა....
რაღაცამ ჭკვაში მირჭინა...
თლად გაგიჟდა ეს ქვეყანა...
ნეტავ აქ რამ მოიყვანა
მოსკოველი არტისტები,
მე მას შემდეგ ვღელავ, ვკვდები,
ვიცი, გული გამისკდება...
ვხედავ, თავში ტვინი ტყდება...
ნანი, ნანა, ნანი, ნინა...
შამომიჩნდა ჩემი თინა,
არც ღღით, არც ღამით მაძინა,
ხან ალერსით მომეფინა,
ხან გაიბუტ-მოიწყინა,
სთქვა; თეატრში მიდის ზინა,
ქეთო, კოტე, აგრაფინა,
მთელი ხალხი, თლათ მილეთი,
უსათუოდ შენ ბილეთი
ჩემთვისაც უნდა იშოვნო,
და გული არ დამიღონო,
ნუ იცი გატეხა ხათრის,
მოსკოვის მხატვრულ ტეატრის
მსახიობთა გასტროლები,
არ ვნახო, არ გებრალები?!
ასე, სულის ორეულმა,
თვალებზე ცრემლ მორეულმა,
სურვილებით განატაცმა,
(ამ დროს კოხტა და წარმტაცმა)
ბილეთისთვის გამამგზავრა,
დაივიწყა რაც იჯავრა,
და მიეცა მას იმედი...
მაგრამ რომ არ სწყალობს ბედი?.
ვის არ ვსთხოვე, არ მივმართე...
ხელი ვერსად გავიმართე...
ვიტყვი, ბევრგან კი წავაწყდი,
(გამხელისთვის თუ არ წავწყდი)
ბილეთს ყიდდენ რაღაც ფრთხილად...
მივედი და ვსთხოვე ტკბილად...
თუ გაქვს ძმაო ჩემი ხათრი,
გვიბოძეთ ამფითეატრი!
—რამდენი გსურთ?—ორი ცალი!
(მუხლმა დამიწყო კანკალი,
ფასს მეტყოდა, ვიცოდი ძვირს,
მოლოდინში ვიჩქმეტდი ცხვირს).
—გვიბოძეთ სამი ათასი!...
უცებ მოთმინების თასი
ამევსო და შევუკურთხე:
თფუ, თქვენ!.. ვსთქვი და მივაფურთხე,
და შინისკენ გამოვბრუნდი,
ხელ ცარიელი დავბრუნდი,
თინას უთხარ: გეთაყვანე,
მწუხარება გადიტანე,
გაყიდულა ბილეთები,
ჩემს სიყვარულს გეფიცები.
ერთიც არსად იშოვნება,
(თავს ტყუილის მივეც ნება
თქვენგან გამხელას არ ველი)
თინას სწვავდა სევდა მწველი,
გაწყრა, ზურგი შემაქცია,
ბევრი ცრემლი დააქცია,
ზოგი ღვარად, ზოგი ცვარად.
(არც შეიძლება სხვა გვარად)
ამ დროს მეც თავს ვემუქრები:
ნეტავ, რატომ არ გავქრები,
რომ არავინ თანამიგრძნობს,
ვერვის ვიცნობ მსხვილს და საგრძნობს,
ვინმემ ხელი გამიმართოს
(ეს ხათა არ დამემართოს)

ვსთქვათ, კრება დამფუძნებელი
არის მეტად მიმზიდველი...
ბილეთს მე ამაოდ ველი,
აღარ მიმიწვდება ხელი...
ქვესტორი არ თანამიგრძნობს,
ალბად, კარგად რომ ვერ მიცნობს,
დამფუძნებელ კრების ცოლებს,
მათ დებს, მაზლებს, რძლებს ბიცოლებს
ბილეთებს სწრაფულ დაურიგებს
(საქმეს ასე გაარიგებს)...
არც სხვა მწყალობს, თუნდაც
ბევრთან მომივიდა შეხლა ეხლა
მოსკოველ არტისტთ გასტროლი
გახდა ჩვენთვის შემაძრწოლი...
აგვიჯანყა დები, ცოლი...
თუ თეატრის კომისარი
გწყალობს, საქმე ძმავ ის არი.
ბილეთების შიში ნუ გაქვს...
ის ყოველთვის შენ დროზე გაქვს.
ანდა, ასეთ კრიზისის დროს,
სჯობს ემოყვრო სამინისტროს,
ის ბილეთებს გინაწილებს,
არასდროს არ გაგაწბილებს
ჰო, და მე და ჩემი თინა,
სწორედ ამან მოგვაწყინა...
ნანი, ნინა, ნანი, ნინა...
დავიქანცე... ჭკვა მეტკინა.

II.

იხრი, მიხრი, იხრი, მიხრი,
თუ კი დამძლევ, ქედს რად მიხრი...
ხორცს გააქრობს ხორცის ნიხრი.
მტანჯავს ამის დარდი, ფიქრი,
ხორცი რომ არ იშოვნება,
ყასაბები გიჟ-თავ-ნება...
ვერ მოხარა, ვერა, ნიხრმა...
და უხორცოდ დავჭკნი მე ყრმა.
ჩამოვხმი... მწამს დავჭლექდები.
ჰე, ყასაბნო, თუ მოვკვდები
ნახეთ მაინც, აბა ნახეთ...
თავს ვიკვებავ ისპანახით,
წიწმარტითა და ტარხუნით,
თვის ბოლოკით და დანდურით,
ვიცი, გულში კი მემდურით,
ძირს სუკები და ხაშლამა.
(ჩემს ბიჭს უყვარს შაქარლამა)
ძირს არტალა, ჩალაღაჯი!
ნაკლები გვაქვს ეხლა ხარჯი,
არ მოვკვდებით ჩვენ შიმშილით,
ხორცეულსა ვსცვლით მწვანილით.
პირს არ ვიბან ყოველ დილით,
მე კბილის ფხვნილს ვწეწკავ კბილით
კი ვერ მნახავთ შენაპუდრსა
ფუტურისტო! შენა პუდრსა
რატომ ხმარობ, რატომ იფრქვევ,
მე არც ეს მშურს და არც ისა...
მხოლოდ პუდრი მაქვს ცარცისა
დავამზადე თქვენთვის კერძოთ,
მინდა ყველას რო გიკერძოთ,
ყველას გხვთებათ თქვენი წილი,
სახეზე რომ თეთრი ფქვილი
კოხტადა გაქვთ შეფიფქული,
ვიშ, რა ეშხით მიძგერს გული,
სილამაზით ხარ თ შემკული...
ასე შვენის პოეზიას.
არ ეტრფოდა პო აზიას?
ერთი ბიჭი დღეს ას იას
შესთავაზებს ალვასიას
აქ, რუსთაველის ქუჩაზე...
მალე ავალთ ალუჩაზე,
მალე იქნება, სულ მალე
მჟავე და ქორფა ტყემალი,
ხორცი სულ არ დაგვჭირდება,.
სიცოცხლე არ გაჭირდება.
არ იქრობს ბაგრატია
დღეს ჩვენი დემოკრატია.
ჭკუა ასე გამეზარდა,
თავშიც აღარ დამეტია,
თქვენ გიბოძებთ, რაც მეტია...
შვიდჯერ ორი ცამეტია...

II.

ბრეტის ბრეტი... მეტის მეტი...
ვის რა გინდა ამის მეტი...
სიცხემ დამიბნია რეტი...
ტვინში მარტყამს რაღაც კეტი...
არც ნაკლები და არც მეტი...
უნდა გითხრა ძმავ, სეკრეტი:
გახსოვთ, გამოსცეს დეკრეტი,
(მო, შენ ყურთან დავიხრები,
მისმინე არ გიმასხრები)
მოვსპოთო ტკბილი ნამცხვრები;
პონჩიკ-ტრუბოჩკ-კულიჩ-ტორტი...
მას მერმე მკლავს ამის დარდი,
რომ ცუღლუტი კანდიტერი,
ფქვილისა და შაქრის მტერი
თავის ძველ გზას უარს არ ყოფს
და ტკბილ ნამცხვრებს ისევ აცხობს.
ზოგი მორცხვად სდებს შუშებში.
(როცა დავდივარ ქ-ჩებში,
ნერწყვი მადგება ტუჩებში)
ზოგი მალავს, დახლს აფარებს,
შეხვალ, ჩუმათ შეგაპარებს,
დეკრეტი რჩება დეკრეტად...
ამას შენ გეტყვით სეკრეტად.

ყვავად იქეც, მეკი-ვარიტად...
—ქრისტე აღსდგა!—ჭეშმარიტად!

IV

ალა, ბალა, ალა, ბალა,
გაქრა სადღაც **ხათაბალა.**
ხათაბალა კაცს შეემთხვას,
მეც მსმენია ეს, შენც და სხვას,
მაგრამ ვფიცავ მე ფუფალას,
ხათაბალა **ხათაბალას**
რომ რამე დროს შემთხვეოდეს,
არ მსმენია არასოდეს
სად წავიდა **ხათაბალა**?!
იყო იგი ალა-ბალა!
ეხლა მითხრეს: **ხათაბალა**
არა, თლად კი არ გამქრალა,
თურმე იმას შვილი აჰყვა,
და იმის შობას გადაყვა,
მაგრამ შვილი ეშვა ვაჟი,
მისი მოყვრების რიჟრაჟი,
არის ცელქი, მხიარული,
თუმც კი უჭირს სიარული
და ნამეტანს იგვიანებს...
მაინც მოსწონს მისიანებს.
და მონათლეს იგი ხელად—
და უწოდეს მას სახელად.
რაც წინაპარს ერქვა ძველად
(სთქვეს, მას ჰგავსო უეჭველად)
ჰო, უწოდეს მას „**მათრახი**"
არაყის წილ იმათ **რახი**
გვიძღვნეს, თავი იმათრახეს,
თვის ნაყოფის ნაცვლად რა ხეს
სურს მოისხას სხვა ნაყოფი,
იგი არის ავათმყოფი,
რახა, რუხი, რუხი, რახი
ხათაბალამ შვა **მათრახი**
მაგრამ ამას არვინ შიშობს,
ვინ უწყს **მათრახი** რაღასშობს.

შექანჯალებული.

ქვორუმი.

ნეტავი გამაგებინა, რომელმა ახირებულმა მეცნიერმა სთქვა: „ეძიებდეთ და ჰპოებდეთო". ამას კი ვიტყვი გადაჭრითაც და კატეგორიულადაც, **რომ ეს** სიტყვები **ჩვენი** ღვთაებრივი სოლომონის **ბაგეს** არ ეკუთვნის. ის მისთვის, მეტი რომ არა ვსთქვათ, ერთობ მსუბუქია.

მართლაც, ამ სიტყვებში იოტის ოდენა სიმართლე **არ** არის, თორემ ამდენი ძებნის შემდეგ ეს ოხერი ქვორუმი ხელის გულზე მეყოლებოდა დასმული. რამდენი ხანია მე მას დავეძებ და ვგრძნობ, რომ რაც მეტს დავეძებ, მით უფრო ვშორდები, მას.

სასიამოვნო მოვლენად ჩაითვლება მხოლოდ ერთი გარემოება. სახელდობრ ისა, რომ მეძებართა რიცხვი მატულობს, მე მარტო ობლათ აღარა ვარ. აღტაცებით წავიკითხე პატივცემული ქალაქის მოურავის მიმართვა თფილისის ხმოსნებისადმი. ბოროტმოქმედებათ ჩამეოვლებოდა ეს მოწოდება მე ჩემი მკითხველებისადმი დამემალა. აი ისიც:

„თფილისის ქალაქის ხმოსნები! საფუთო გადასახადის საკითხი **ქვორუმის უქონლობის** გამო, ამ თვე ნახევრის განმავლობაში სამჯერ დასმული საბჭოს დღიურ წესრიგში, გადაუჭრელი დარჩა. ამის გამო ქალაქის სალარო ყოველდღიურათ 100000 მანეთამდე ჰკარგავს და სხვა. (გაზეთი „ერთობა").

თქვენ გეხსომებათ ჩემი წუთიერი გატაცება, როცა ქვორუმად ბ-ნი გრ. ვეშაპიძე მივიჩნიე. ჩემი შეცდომა სულ მალე გამოაშკარავდა და ყოველივე ეჭვს გარეშე გახდა, რომ ვეშაპიძე სრულიადაც არ იყო ქვორუმი.

დღეს ასეთივე გადაჭრით შეიძლება ითქვას რომ ქვორუმი არ არის არც პატივცემული მოურავი თფილისისა, ბ-ნი ბ. ჩხიკვიშვილი, ვინაიდან ისიც თურმე თვე ნახევრის განმავლობაში გაცხარებით ეძებს ქვორუმს, რომელსაც ქალაქის სალაროდან ყოველდღიურათ 100000 მანეთი გააქვს.

მე წინეთაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ქვორუმი ჩვენი რესპუბლიკის დასასჯელად ჰყავდა მოვლენილი ქვეყნად ღმერთს, (სწორედ ისე, როგორც საბჭოთა რუსეთის ამოსაგდებათ მან მკბენარი გააჩინა) მაგრამ ვერაფერს ვერ ვიფიქრებდი, თუ ქვორუმი ქურდი იქნებოდა. ეს ცნობა ჩემთვის სულ ახალი ცნობაა. დარწმუნებული ვარ თქვენ ადვილათ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ის გულისწყრომა და აღშფოთება, რომელიც ამ საარაკო ცნობამ ჩემში გამოიწვია.

დღეში 100000 მანეთი!!

თუ არა ვცდები თვე ნახევარი თითქმის 45 დღეს შეადგენს. ამგვარათ ამ ხნის განმავლობაში ქვორუმს ქალაქის სალაროდან გაუტანია ოთხ ნახევარი მილიონი მანეთი.

მართალია, ოთხნახევარი მილიონი მანეთი თავის თავად არაფერია, უბრალო გროშებია, მაგრამ საქმე თანხაში კი არ არის, არამედ პრინციპშია. ანდაზა აშკარათ ამბობს; „ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ორივე ქურდიაო" სრული ჭეშმარიტებაა!

ამ ჩემს მოსაზრებას რაოდენათმე მოურავის მოწოდებაც ჰფენს ნათელს.

მოწოდების ავტორს ბ-ნი ქვორუმი არა თუ

პატიოსან კაცად არ მიაჩნია, პირიქით იგი მას უსულო არსებათა რიცხვში შეუტანია და „ქვორუმის **უქონლობაზე**“ ლაპარაკობს.

როგორც ხედავთ, ქვორუმის ძიების საქმე ახალ მიმართულებას იღებს. მას სისხლის სამართლის საქმე ბრალდება და ცხადია, ბ-ნი ფაჩულია სათანადო ზომებს მიიღებს მისი ვინაობის გამოსარკვევათ და აგრეთვე მის აღმოსაჩენათ.

მე მაკვირვებს და მაშფოთებს აგრეთვე ჩვენი დემოკრატიის გულგრილობა.

კაცო, თუ ეს ქვორუმი საბოტაჟნიკიც არის, ქურდიც არის, ბალშევიკიც არის და ჩვენი დამოუკიდებლობის მოსისხლე მტერიც, რაღას ირჩევდენ ყველა დაწესებულებებში ასეთ სახელ გატეხილსა და საეჭვო ადამიანს?!

$4^1/_2$ მილიონი თვე ნახევარში დაუკარგავს ქალაქის სალაროს; ვინ იცის რამდენი ზარალი მიაყენა დამფუძნებელ კრებას, ეროვნებს, ჯარსა და გვარდიას? მაგრამ წარსულს ვინ იდარდებდა, რომ მომავალში მაინც ვიყოთ მისი ბოროტ-მოქმედებისაგან დაზღვეული. ამ მხრივ კი სანუგეშო ნიშნებს ვერაფერს ვხედავ.

ერთად ერთი იმედი ბ-ნ ფაჩულიაზედ არის და ვნახოთ!

მორიელი.

სამი ქალი.

ბათუმს მიდის სამი ქალი და მზადება აქვთ ფიცხელი...
ერთმანეთს ეუბნებიან: „მოგიმართოს ღმერთმა ხელი. .
ნატანების „სტანციაზე“ აგაშოროს საზღვრის მცველი,
რომ მშვიდობით გაიტანო ქათამი, თუ გოჭი, ყველი“.
შენ რა გიჭირს ბეჩა, ქალო, ამ საქმეში აწ ხარ ძველი
და მე თუ რამ გამიჭირდა, იმედი მაქვს, დავ, მიშველი.
ქა! რას ამბობ, გენაცვალე, გაჭირვებას მოწყდეს წელი,
იმას შენთან რა საქმე აქვს, არ გაგწირავს ღვთისმშობელი.
შენ რომ ფიქრობ, იქ გატანა არც ესოდენ არის ძნელი,
შენი ენა და სიტურფე, გეტყვი, არის შენი მხსნელი!
მაგრამ მაინც მაგ „შლაპაში“ ჩადე სამი-ოთხი ყველი,
დიდია და სრული არის, იქ არ უშავს არაფელი.
ამ კალათის გატანა კი ადვილია, თუ რომ მცველი
ცოტა განზე გაიტყუე, შეაპარე თვალი მწველი.
შენ კი უბეში ჩაიდე, წააფარე ბამბა თხელი,
რომ უშნოდ არ აიბურცოს და არ იქმნეს შესამჩნელი.
გარეგნობით თავს ვერ იქებ, არც ენა გაქვს ისე მჭრელი,
მაგრამ იცი ჭკვა-გონებით ხერხი, ყველგან შესაფერი.
— ვიცი ქალო! ხამი არ ვარ, ჩემგან გლახას ნურას ელი.
რაც იქით აქეთ დავდივარ შესრულდება აგერ წელი;
ან რა არის აქ საძნელო, თუ გივარგა ფეხი, ხელი,
მხოლოდ ყველგან ოსტატურად დროზე უნდა გაბმა, ქსელი.
ეხლაც ლხინი მანამდის გვაქვს, სანამ იქ ზის ინგლისელი,
სანამ ყოველ წასვლისათვის „პროპუსკი“ გაქვს საშოვნელი;
თორემ როცა იქ ჩვენები შეელენ დღე მოგვივა ბნელი...
ეხლა დროს კი ნულარ ვკარგავთ, გავამზადოთ საქონელი—
ბათუმს მიდის სამი ქალი, ფაცი-ფუცი აქვთ ფიცხელი.
ერთმანეთს ეუბნებიან; „მოგვიმართოს ღმერთმა ხელი.
ნატანების „სტანციაზე“ აგვაშოროს საზღვრის მცველი,
რომ მშვიდობით გავიტანოთ ქათამი, თუ გოჭი, ყველი“.

ტუზი.

ტაქსა.

„... კამეჩის ხორცი,-რის ოცდაათი!?-
კუდში რომ ვდგევართ მთელი საათი?..
აი, აქ არის თურმე აგენტი,
ნიხრის საბუთი და არგუმენტი;
აღდგომის კვერცხი თუ დაგვიძვირდა,
სულაც არ შეგვხვდა, არ გაგვიკვირდა,
მაგრამ აქ ვხედავთ გატეხას ნიხრის,
სასწორიც მუდამ იქითკენ იხრის!—
რათ არ ინებებთ რაიმე ზომას?
— შენ ფეხს აბიჯებ ნეიტრალ ზონას.
— არა ბატონო, ჩვენ გვინდა ტაქსა...
— ძალიან ჰგავხარ შენ ავაზაკსა.
— რა ბრძანებაა, თქვენ სცდებით, სტყუით!
— შენ ხომ არ გინდა პორტფელის ყუით,...
— თქვენ, მოქალაქე, ნამდვილათ გიქრის.
— ჩუ, შე თავხედო, ძმა ვარ მინისტრის
და შენ მასწავლი რას ჰქვია ტაქსა?..
ხალხი შეშინდა და დაიქსაქსა...
მარტო გოგია ვით მავნე ტიპი,
დაფიქრებული როგორც ედიპი,
და მეამბოხე თვით ოქმის ძალით
კომისარს მისცეს, გაჰყვა ჩანჩალით...
ყასაბი ამბობს: ვინ ტუტუცია
ეს დემოკრატი კონსტიტუცია!
მინისტრის ძმაო!.. ვაა, მამაო,
ჩვენთვის კეთილი, სხვისთვის ამაო...
მადამ!—იფ, კუსოკ!.. თელეთსა ვფიცავ,
აგენტზე კარგათ ტაქსასაც ვიცავ!

ვინტარი.

Perpetuum mobile

..... და ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციაზე როგორც იყო, დიდის გაპირვებით, საქართველომ შეარიგა სომხეთი და აზერბეიჯანი.

შერიგებული პოღოსა და ახმედა ტკბილის მუსაიფით წავიდნენ შინისაკენ და გზაშიერთმანეთის მზეს ჰფიცულობდნენ.

— მშვიდობით, ჩემო პოღოს! მე აქ შევალ, ჩემს დუქანში!

უთხრა პოღოსას ახმედამ და ხელი მაგრათ ჩამოართვა.

— მშვიდობით, ძვირფასო ახმედ!—მეც აი, აქვე მივდივარ, ჩემს სავაჭროში, შენ პირდაპირ,— უთხრა ახმედას პოღოსამ და ხელი მაგრათ ჩამოართვა.



პოღოსა და ახმედა არხეინათ დასხდნენ თავ-თავიანთ დუქანში, ან კი რა ჰქონდათ საზრუნავი: ამიერიდან ისინი საუკუნო მეგობრები იყვნენ.

პოღოსას ძაღლი ჩიშმარიტა და ახმედას ძაღლი ალაბაშა ერთმანეთს ფიუახლოვდნენ და ღრენა დაუწყეს: პოღოსამ და ახმედამ ყურები დაცქვიტეს.

ჩიშმარიტა და ალაბაშა გააფთრებით ეცენ ერთმანერთს და დაუნდობელი ჩხუბი გააჩაღეს.

პოღოსამ და ახმედამ ხელში კეტები აიღეს და გამოვიდნენ ძაღლების გასაზავებლად.

— რა ავი ყოფილა ეს შენი ძაღლი ახმედ-ჯან! — ეუბნებოდა პოღოსა ახმედას: რას ერჩოდა, ვგრე უმიზეზოთ რომ ეცა ჩემ ჩიშმარიტას?

— შენ ვერ დაგინახავს, პოღოს-ჯან, — უპასუხა ახმედამ: პირველად შენი ძაღლი ეცა ჩემს ალაბაშას.

— როგორ თუ ჩემი? არა გრცხვენიან ტყუილისათვის? ეს ყველამ იცის, რომ შენმა დაიწყო, — გაჯავრდა პოღოსა.

— შენ კიდევ არ დაანებე თავი შენს ფლიდობას, პოღოს?

გაურისხდა ახმედა: ჩემი თვალით რომ არ მენახა, როგორ მიეპარა და უკბინა შენმა ჩიშმარიტამ ჩემს უდანაშაულო ალაბაშას, მართლაც დაგიჯერებდა ვინმე!



კამათმა და დავამ სხვა-გვარი ხასიათი მიიღო და პოღოსამ და ახმედამ კეტები ერთმანერთს დაუშინეს.

— თათრები დამესხენ! მკლავენ! — დაიბღავლა პოღოსამ.

— სომხები მოვიხდნენ! მომკლეს, — დაღრიალა ახმედამ...

...და მეგობრები ერთმანეთს ყელში სწვდენ დასახრჩობათ.

მდგომარეობა გართულდა. ყვირილზე მეზობლები მიცვივდნენ და ჩხუბში ჩაერევნენ: სომხები პოღოსას გამოესარჩლენ, თათრები—ახმედას.

მოჩხუბართა რიცხვი თანდათან მატულობდა.



საქმეში სამხედრო ძალაც ჩაერია და გაიმართა ომი აზერბეიჯანსა და სომხეთს შორის. ყველ-

გან ხოცვა-ჟლეტა და სისხლის ღვრა იყო. მთელი სოფლები და ქალაქები იჟლიტებოდა, იწოდა და ინგრეოდა.

ერთად ერთი იმედი და გამოსავალი კონფერენცია იყო და საქართველოს წინადადებით კვლავ შეიკრიბა ამიერ კავკასის რესპუბლიკათა კონფერენცია.



..... და კონფერენციაზე როგორც იყო, დიდის გაჭირვებით, საქართველომ შეარიგა სომხეთი და აზერბეიჯანი.

მაძებარნი.

სურათი თფილისის ცხოვრებიდან 1 მოქმედებად.

მ ო ქ მ ე დ ნ ი:

არტაშა — (სომეხი, ზეზე მოვაჭრე).
გრიშა—(სტუდენტი).
გოგილა—(ჩოხოსანი).
სერგო—(ჩოხოსანი)
კოლია—(ყოფილი აფიცერი).
შალვა—(ევროპიულ ტანისამოსში, სტუდენტი)
ლადო—(ჩოხოსანი).

(სცენა წარმოადგენს რუსთველის პროსპექტის შუა ადგილს—ლაღიძის წყლის სასმელ მაღაზიის წინა ტროტუარს. ღილის თეთმეტი საათია. აქ-იქ დგანან ახალგაზდები ჯგუფ-ჯგუფად და კამათობენ, ოხუნჯობენ. შალვაც ერთ-ერთ ჯგუფის ახლო სდგას და ყურს უგდებს).

გოგილა. (დაინახავს შალვას) სადა ხარ, კაცო? გუშინ აქ ოთხ საათამდი გიცდიდი! ძმაო, ასე არა გამოვა-რა...

შალვა. გუშინ, ღმერთს გეფიცები, ისეთი საქმე შემხვდა, რომ იმის დატოვება ყოველად შეუძლებელი იყო!... შენ რა ქენი?

გოგილა. მე კი არა, შენ რა ქენი? მიაქვს იმ კაცს, თუ არა?

შალვა. რა ვიცი, მოვკვდი ლაპარაკით და მაინც არ გვიმატებს. ოთხი ათასი ძვირიაო... უკანასკნელი ფასიო!

გოგილა. ჰეე... უკანასკნელი ფასი. უკანასკნელი ფასი... კაცო ოთხზე ნაკლები რას გვიზამს? იმ სამინისტროს კაცს ხო მიაქვს სამი, ხუთასიც—იმას და ხუთასი მანეთი თუ ჩვენ ორმა არ დავიტოვეთ, სხვისთვის ხომ ვერ ვიშრომებთ?

შალვა. რა ვიცი... იმ ოხერმა შემაშინა; სამ ათას მანეთად, რამდენიც გინდა მოაქვთო, აქეთ მეხვეწებიანო... თუ დღესვე არ მოვრიგდით, მგონი ისიც დაგვეკარგოს!

გოგილა. ეხ, ძმაო, არ მუშაობ, არა! ასე რა გამოვა?

შალვა. გოგილ! თუ ძმა ხარ, ტყუილი არ იყოს! კიდევ იმ კვირია რო მოგვივიდა, ისე არ დაგვემართოს... ხომ არის ნამდვილი რაზრე შენიე?

გოგილა. ეხ, შენ დაიწყებ ახლა კიდევ... რო ვამბობ, მაშასადამე არის... შენ ეს მითხარი, დღესვე გავათავებთ ვითომ?

შალვა. აი, საცაა მოვა ის სომეხი... კაცო, მე კიდევ ის მაშინებს: ვაი თუ რაზრე შენიე კიდევ ..

გოგილა. კაცო, შენ რა გინდა? თუ გინდა ყალბიც იყოს საბაჟოში ხო იცი ზოსიმიჩიდან დაწყებული კასირამდე ჩვენი ხალხია, რაც მინდა იმას გავაშობიემ.

შალვა. რავა საბაჟო?

გოგილა. ტამოჟნა, კაცო ტამოჟნა!.. ვუჩიჩმებთ და მორჩა და გათავდა! აბა მე ერთი თუთხმეტი წუთით სამინისტროში შევირბენ, შენ აქ იყავი... უთვალთვალე, ეგები რამე გამოჩნდეს ახალი. სომეხი თუ მოვიდეს, უთხარი, ნობის რაზრე შენიეს ოთხათას

მანეთზე ნაკლებ ვერსად ვერ იშოვი ტყუილად თქო. და ცოტა მოარჯულე, ჩააგონე...

შალვა. კარგი, მაგრამ სამინისტროში ახლა რა მიგარბეინებს, საცაა მოვა ის.

გოგილა. საქმე მაქვს! კონიაკის რაზრეშენიე ჰქონია ერთ კაცს ბათუმს გასატანად, მუშტარი მყავს და ბლომა ჩამოვრჩები, ნაღდი საქმეა. აბა მაშ ასე, черезъ 10—15 минутъ я здѣсь! (წავიდა)

შალვა. Хорошо! (დასეირნობს მარტო)

ლადო და სერგო. (ხელგაყრილნი მოსეირნობენ, გაჩერდებიან ლაღიძის შესავალ კარებთან)

ლადო. რა ქენი წუხელის კლუბში სერგო, წაგე?

სერგო. (დამშვიდებით) თვრამეტი ათასი!.. ჰე, კაცო ოთხმოც ათასამდე ვიყავი მოგებული და...

ლადო. ვერ ისწავლე, ვერ ისწავლე ჭკუა სერგო ღმერთმანი! კაცო რო მოიგებ 10—20 ათას უნდა ადგე ხოლმე! მორჩა და გათავდა!..

სერგო. ეხ, ადგე, ადგე, უნდა ავდგე მაგრამ მე მინდა ბლომად ჩავილაგო, იმდენი რომ წამომადგეს რამეში... საკუთარი საქმე მინდა დავიწყო, თორემ მომკლა კაცო ამ სხვის საქმეებზე რბენა-ხეტიალმა, ასში რო ერთი გამოვიდეს და გაკეთდეს დიდი ჩემო ლადო! გუშინწინ იყო მგონია, ჰო, გუშინწინ, ვდგევარ აქ, მორბის ჩვენი ხოჭოლაძე. „რა ამბავი?:- არიქა სერგო, ათი ათასი ფუთი შაქარია გასაყიდი მუშტარი უნდა მოვძებნოთო“. რასაკვირველია, ვეცით აქეთ იქით და ბოლოს შიგ ქალაქში რო ვერა გავაწყვეთ-რა შეითან ბაზარში მოვკურცხლეთ! დიდი ვაი ვაგლახის შემდეგ ვიღაც თათარი ვიშოვეთ, სულ პარტიობით წაიღებდა, წამოვიყვანეთ თათარი, მივიყვანეთ იმ ხოჭოლაძის ნაცნობთან, იმ ნაცნობმა თავის ნაცნობთან გაგვიყვანა დიდუბეში, დიდუბიდან მივადექით შაქრის „პატრონს“. უკანასკნელმა დაგვიწყო: შაქარი გვაქვსო, მაგრამ თქვენთვის ბევრი უთქვამთო, ათი ათასი არა და ხუთასი ფუთი კი შეგვიძლია მოვახერხოთო, მხოლოდ ისიც ოთხი კაცი არტელშჩიკებია ქალაქთა კავშირის საწყობისა უნდა შევიამხანაგოთო, თან ერთ წილს საწყობის კარზე მდგომი მცველიც წაიღებსო. ბოლოს რო ვიანგარიშე, თექვსმეტი იყო, გარდა შოფერისა, რომელსაც უნდა წამოეღო საქონელი... ასე რომ თუნდაც რომ გაკეთებულიყო ეს საქმე რა ხეირი იქნებოდა... რისკი დიდი და მოგება უმნიშვნელო სრულიად!.. მოვა ის კაცი, ხუთი ვაგონი შაქარიაო, მეორე დღეს სამიო, მესამეს ერთი და ბოლოს არაფერიც არ არი თურმე. ეჰ, ძმაო მოვკვდი, გავთავდი ამდენი სირბილისაგან!

ლადო. სერგო იცი, დღეს გოგილა და შალვა ნოხის საქმეს არიგებენ თურმე... ხუთასი ფუთის რაზრეშენიე უშოვია ვიღაცასთან...

სერგო. ხუთასი კი არა ათასი არ გინდა? უშოვნია?, ვის უშოვია კაცო? ღმერთი გამიწყრეს თუ მაგათ ჯერ იცოდენ, ვის ხელშია ის რაზრეშენიე. მაგათამდე კიდევ შვიდი კაცი იქნება იქეთ-აქეთ... ის იმას ეტყოდა, ეს ამას და არის ერთი გადაცემ-გადმოცემა და თან წამატება გზა-და-გზა და ბოლოს კი ხახა მშრალი რჩება ყველა!

ლადო. სერგო, შენ ხომ იცი ასეთ საქმეებს ორი თვეა რაც მე თავი დავანებე-დავიფიცე, ხო გახსოვს, მაგრამ ერთხელ კიდევ უნდა ვსინჯო? კაცო ამ დილათ ალიონზე ჩემი სახლიკაცი, ახლო მოყვარე, მომადგა სახლში, სიმიდი ჩამოუტანია სამი ვაგონი, ორსაც მოელის ამ ორ დღეში. უნდა არმენიაში გაიტანოს; ვერ მოვუწყობთ რამეს?

სერგო. (სერიოზულად) რამდენი უნდა გაიტანოს?

ლადო. სულ თუ შევძლებთ-ხუთივე ვაგონი!

სერგო. (დაფიქრდება) გუშინ რო მცოდნოდა მოიცა! სიმიდი ხომ კარგია? სად აქვს?

ლადო. ტოვარნი ვაგზალზე. აქ რო გაიყიდოს ხომ იცი, არაფერი სახეიროა, როგორც მისთვის, აგრეთვე ჩვენთვისაც და თუ ამას შენ მოაწყობ, მილიონების ანგარიშია, ძმაო, მილიონიბის!..

სერგო. აბა, წავალ, მგონი უნდა გავაკეთო, თუ არ გაწყრა ღმერთი... ერთ საათში მოვალ და აქ იყავი!

ლადო. კარგი, გენაცვალე! აბა შენ იცი სერგოჯან! (გაიარ-გამოიარს და თვალს მოავლებს შალვას) ჰო, შალვა! მომილოცავს, მომილოცავს!.. გავიგე, ნოხის საქმე უკვე გაგითავებიათ, არა?

შალვა. ჰეე, ჯერ სადაა?.. ლადო, თხილის მუშტარი ხო არ გეგულება? ორი ათასი ფუთი აქვს ჩატანილი თურმე ზუგდიდის მოურავს, კარგი თხილიცაა და ფასიც არ არის ძვირი-триста пятьдесятъ-пудъ на мѣстѣ.

ლადო. ძვირია! მაინც ვსინჯავ, გავიგებ!

შალვა. რავა, გყავს ვინმე?

არტაშა (ხანში შესული, ზეზე მოვაჭრე სომეხი დაინახავს შალვას და უსაყვედურებს) ნუ, კაკ დელა, შალიკოჯან? კიდევ ხომ არ მომატყუილეთ?

შალვა. Нѣтъ дорогой, чрезъ часъ все будетъ готово!

არტაშა. посмотримъ! ფასი იცოდე, აი, მე და ჩემმა ღმერთმა ახლა შემხვდა ერთი ნაცნობი, ტრი ტისიჩათ რამდენიც გინდა იმდენია ნოხის რაზრეშენიო!

შალვა. (სხაპა-სხუპით) ის ბატონო не будетъ настоящій... ხომ იცით, როგორ ფრთხილად უნდა იყოთ, თორემ მოგაჩეჩებ ყალბს და მერე უყარეთ კაკალი.

არტაშა. არა ძიაჯან, ის კაცი ისეთ რამეებში ძალიან ასტაროჟნია! სალიდნი ვინმეა ჩემმა მზემ, ის ტყუილს არ მეტყოდა!..

შალვა. ბატონო, თქვენ რა გინდათ? чрезъ часъ все будетъ готово!

ფ ო თ ი

უსნაური ხუროთმოძღვრება



ქალაქ ფოთში, ყველა ეზოებში, ქუჩის პირას, საუკეთესო ადგილას მოთავსებულია პაწია სახლები, რომელთა ლაზათი და სისუფთავე ხუროთმოძღვრების საოცარ მინაღწევათ უნდა ჩაითვალოს.

დენიკინელთა გასტროლები

ფოთის ქუჩებზე ყოველ დღე იმართება ლტოლვილ დენიკინელთა წარმოდგენები რუსეთის ცხოვრებიდან.

დამფუძნებელი კრება.

სერგო ორჯონიკიძე. დამფუძნებელი კრების ქვესტორი, ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების თავმჯდომარე. სახალხო უნივერსიტეტის თავმჯდომარე. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე. ამერიკის კაცთმოყვარე საზოგადოების თავმჯდომარე. საერთაშორისო წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე. ჩინეთის მეაბრეშუმეთა საკავშირო საზოგადოების „ბალ-ტუ-ნი“-ს თავმჯდომარე. სახელგანთქმული სარდალი. დაიპყრა ქალაქ თბილისში, ოზურგეთს რომ ოსმალთა ჯარი შემოესია. დაიპყრა აგრეთვე ჯვაროსანთა ომში...

არტაშა. კარგი, ერევანსკზე ვიქნები, აი! (წავა)

შალვა. კეთილი, мы туда явимса черезъ пол часа!

გოგილა. (მეორე გვერდით გამოჩნდება. დაღლილობა ეტყობა).

შალვა. (განზე გაიყვანს გოგილოს) გოგლა, აი ახლა იყო აქ ის სომეხი აი, ეგერ მიდის... (უჩვენებს თითით) სამ ათას მანეთად რამდენი ფუთიც გინდათო მოგცემთო, ვიღაც ნაცნობს შეყრია ამ დილით და თუ ჩქარა არ ვუშველეთ, იცოდე დაგვეკარგება...

გოგილა. წავიდეთ, წავიდეთ, საქმე მზათაა... დღეს ან ავშენდებით ან სულ დავიღუპებით! (გადიან ორივე საჩქაროდ. ხალხი ამ ხნის განმავლობაში ბლომად შეყრილა, აქა-იქ დგანან ჯგუფ-ჯგუფად და ლაზღანდარობენ. გამოდის კოლია-ყოფილი აფიცერი, ნიშანი კი აქვს გულზე სამხედრო სასწავლებლისა. შენიშნავენ კოლიას თუ არა ეგებებიან ათამდე კაცი, მათ შორის ლადოც)

ყველანი. ჰო, კოლა, კოლია, კოლიუს!.. საიდან, როდის, როდის?

კოლია. (ხელს ართმევს ყველას) ჰე, რა როდის ძმაო, დავიხვრჩი კაცი იმ დასაქცევში!.. მოწყენილობა, კაცო მარა რა მოწყენილობა!.. მართლა ყველამ ჩვენებმა მოკითხვა დამაბარეს...

ლადო. სხვა, ქეიფის როგორაა? არის ძველებურად, ქუთაისურად?

კოლია. (ხელს ჩაიქნევს) საქმე არა გაქვს? სადაა ის მამაპაპური ლხინი, სადილები, ვახშმები? სიზმრადაა გადაქცეული, სიზმრად!... ჩემის აზრით მაინც ქუთაისში რო მაძღარი იყო, იმას სჯობია აქ, თფილისში მშიერი დახეტიალობდე!

ლადო. არც იქ გექნებოდა თუმცა თავსაყრელი!

კოლია, რატომ ძმაო? სახლი იქ მაქვს“და კარი, სადილი, ვახშამი და ჩაი ქე იყო და на папиросы могъ ჩამეკომბინაციებია?

ლადო. სანდრო რას შობა თუ ძმა ხარ, სანდრო, ჰა?

კოლია. სანდრო ლეჩხუმშია, ვერც კი მოვუსწარი! კომისრად თუ მის თანაშემწედ არის და ყელამდეა თურმე ჩაფლული ფულებში. ოცი ღლის წინად ოცდახუთი ათასი გამოუგზავნია სახლში.

ყველანი. ბიჭო, ბიჭო?.. ყოჩაღ, სანდრო! .

კოლა. ხალხნო ნოხი ჩამოვიტანე სახლიდან, 6 არშინი სიგძე, ოთხიც სიგანე, ნამდვილი ტეკინსკია, ფასი ხომ არ დაეცა? მინდა გავყიდო!

ლადო. რა დაეცა? დაეცა კი არა დღე დღეზე მატულობს! ფუთი ნოხის რაზრე'მენიე ოთხ ათასამდე ავიდა და თვით ნოხის ფასი აბა რა იქნება?

კოლა. მადლობა ღმერთს! მაშ ხვალ ძმაო ვყიდი ნახევარს ვხარჯავ სადილად. (ყველას გაეხარდება)

ლადო. ოფ! რას შემოვსძახებთ!

გრიშა. (გრძნობით) ხვალ ხვალა, მაგრამ დღეს კი რა ვქნათ, ძმებო?

კოლა. დღეს, შე კაცო, ჯერ პირველი საათია, გამოიარს ვინმე და მოვდებთ! გუშინ ჩემთან მატარებელში ერთი ვაჭარი მოდიოდა, ძალიან დავმეგობრდით! ,,კერენსკი'' ათას მანეთიანები მიჰქონდა ასიათასი მანეთისა გადასახურდავებლად. უნდა გამოიაროს აქ და მაშინ დღევანდელი დღე ჩემმა კისერმა ზღოს!..

გრიშა. (ამოიოხრებს) ჰეხ, ძმაო, ვინ იცის ის შენი ვაჭარი დაიჭირეს კიდევაც!

კოლა. ничего! რამე იქნება!

გრიშა. (ცოტა იმედიანად) ღმერთმა ქნას! ვნახოთ!

სერგო. (ჩქარა მოდის და ლადოს ეძახის) ლადო, ლადო აქ მო! (შენიშნავს კოლას) ბიჭო? კოლია, როდის კაცო, როდის!

კოლა. წუხელის. რავა ხარ, გენაცვალე?

სერ. ფეხით თუ ჩამოხველ, ჰა? მოიტა ერთი პაპიროსი, პაპიროსი!

კოლა. (იღებს პაპიროს, ყველანი გაუწვდიან ხელს და იღებენ თითო-თითოს, სერგო კი სამს ამოღებს, ერთს პირში ჩაიდებს და თითო-თითოსაც ყურებზე გაიკვეხებს)

კოლა. ეს რაამბავია, სერგოჯან, სამი მიგაქვს?

სერ. დამჭირდება! სად გეძებო მერე? (ყველანი იცინიან.)

სერ. (გაყავს განზე ლადო.) იცი, ლადო? სიმიდის გატანა დიდი გაჭირვება ყოფილა, უნდა ,,პრედვორიტელნი ზაიავლენიე'' ჰქონდეს შეტანილიო და ისიც არმენიაში არავის აძლევენ გატანის ნებას უპროტექციოთ და უდავიდარაბოთ, მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, დამპირდა ერთი კაცი და ხვალ ორ საათამდე ყველაფერს შეგატყობინებთო!

ლადო. არიქა, სერგო! შენ იცი! თუ შენ მოინდომე, შე კაცო...

სერ. არაფერია!.. სიმიდის კი არა, დღეს ორ ნაცნობს იარაღის რაზრეშენიები ავუღე და სიმიდისას რავა დამიჭერენ, რა ვიცი?!.

ლადო. ვნახოთ! შენ იცი და შენმა კაცობამ!.. აბა, ხვალამდე...

სერ. დიახ, ხვალ აქ ორ საათზე ვიქნები...

ლადო. მოვალ, მოვალ, როგორ არ მოვალ კაცო? აბა ნახვამდის. (მიდის)

სერ. ნახვამდის, გამარჯობით!..

სერგ. (გადავა იმ ჯგუფისკენ, სადაც კოლა დგას და გაცხარებულნი ოხუნჯობენ) ყმაწვილებო! ხო ხედავთ, მოიღრუბლა, წვიმა წამოვა, თავს უშველეთ თორემ...

კოლა. შე კაცო, აგერ ტრამვაი, ჩავსხდებით და იალა!..

სერ. ტრამვაი ბიძია ნისიათ ხომ არ წაგიყვანთ და... (ყველანი იცინიან)

კოლა. არც ისეა საქმე, შენც არ მომიკვდე... თუ გინდა, ყველას ავტომობილებით წაგიყვანთ სახლებში.

სერ. რა გიჭირს, ბიძია, რა?.. მამაშენს ორივ ფეხებზე ერთი ქალამანი ეცვა და შენ ავტომობილებით... (სიცილი)

კოლა. სერგოჯან! ხვალ სადილად ჩემთან ხარ იცოდე, აი ნახი ჩამოვიტანე ტეკინსკი, ეყიდი და ნახევარს ვხარჯავ ხვალ!

სერ. მაშ დღეს მე დავხარჯო, არა?, არა, ძმაო, ვერ მომდებთ, ვერა!..

კოლა. მართალს გეუბნები, შენ ნუ მომიკვდე!

სერ. არ მინდა ძმაო, არა!.. ამ საღამოს ბათუმს მივდივარ... კუკოლიკსმა დამიბარა, ,,პოლიტიკური" საქმეა ერთი...

ყველანი. რა საქმე, კაცო მართალს ამბობ?

სერ. მაშ? ,,სოლიდნი'' უნდა გავიტანო სანახევროდ... (ზოგიერთს ეცინება)

გრიშა. (უცბად) მართლა ხალხო, თამბაქოს რაზრეშენია აქვს ერთ კაცს, ეგები მუშტარი გეგულებოდეთ?

სერგო. (სერიოზულად) ლისტოვოის?

გრიშა. არა, на ,,солидныхъ на 2 тисиачи каробок! მაგრამ ძალიან ძვირს აფასებს და არ ვიცი...

სერ. მაშ უთახარი ,,კომისიონნი'' მაღაზიის ვისტავკაზე დასდევი და უცბად გაიყიდება თქო! (იცინიან)

კოლია. მეგობრებო, დღევანდელ დღეზე ვიფიქროთ! მესამე საათი დაიწყო და ჩვენ კი აქ ლაპარაკში გავერთეთ!

სერ. ჰო, ჰო, არ დაიშალოთ, თორემ ვერ მოგძებნით!.. (საჩქაროდ წავა. ყველანი იცინიან.)

კოლა. (სიჩუმე ჩამოვარდება. ზოგი ,,ალავერდის ,,მატივზე'' სტვენს ზოგი თავ-ჩაღუნული მისჩერებია ყველა გამვლელ-გამომვლელს, რომელიც თან და თან კლებულობს ქუჩაზე.) господа, скоро три!..

გრიშა. ჰუ, რა კარგია ახლა კახური?..

კოლა. ღვინო თუ მრავალჟამიერი კახური?

გრიშა. ცალკე, არც ერთი არ მინდა! ორივე ერთად!.. ხო-ხო-ხო!..

კოლა. ჰე, ჯანდაბას თქვენი თავი!.. წამოდით, წამოდით!.. ბინაში ცოტა ჩურჩხელა, მჭადი და შემწვარი ქათამი მაქვს, დედამ გამომატანა, ღვინოც არის ცოტა, პატარა ტიკჭორით, თუ გვეყოფა!..

ყველანი. (გაუხარდება ყველას. ზოგი ,,ცედურს'' შემოსძახებს კრინად, ზოგიც თამაშ-თამაშით გაჰყვებიან კოლას, წინ მიუძღვის)

შალვა და გოგილა (გამოჩდებიან დაღონებულნი. შეჩერდებიან და ერთმანეთს გარდახედავენ უკმაყოფილონი)

გოგილა. нѣтъ, не везетъ не везетъ!..

შალვა. (ცოტა იმედიანად არი) ничего! сразу никогда никому не повезетъ!

გოგილა. რა სრაზუ, ძმაო? ამდენი ხეტიალი, სირბილი და თავის მტვრევა და მაინც არაფერი!..

შალვა. ყველაფერი გამოსწორდება!.. აი, წელან კაცი რო შემხდა, ნათესავია ჩემი... დამპირდა-ერთ კვირაში მომარიგების სამინისტროში გიშოვი ადგილსო! მაშინ მიყურე მე შენ!.. სულ ტყავს გავაძრობ... ჯავრს ვიყრი!..

გოგლა. რას ამბობ, მართლა?

შალვა. მართლა, მაშ?

გოგ. (გახარებული) ჰო, ჰო, ჰო, რა ამბავი გვექნება, რა ამბავი გვექნება? შე ოხერო, რატომ მაშინვე არ მითხარი? წარმოვიდგინო შენ შიგ სამინისტროში მე კი გარედ!.. დედა, დედაა... რაამბავი იქნება... რა მუშაობა გვექნება?.. შენ შიგნით, მე გარეთ, მე გარეთ, შენ შიგნით... ჰუ, ჰუ, ჰუ, რა მუშტრებს მოგიყვან?

შალვა. (ამაყად) შენ მე მაცალე, კაცი არ ვიქნები, если черезъ двѣ недѣли два дома не буду имѣть въ раіонѣ головинскаго!..

გოგ. მეც შალვაჯან, ნუ თუ ერთ სახლს მე ვერ ვიყიდი?

შალვა. ნუ გეშინია, რასაც ვიშოვი, უშენოთ ხომ არაფერი იქნება.. შენ იქნები ჩემი აგენტი, მარტო შენ. .

გოგ. ყველაფერი კარგი, მაგრამ როდის მოხდება ეს სასწაული?

შალვა. ჩაქარა, ერთ კვირაში!.. (პაუზა) გოგლა სამსახური სამსახურია, მაგრამ сегодня намъ обѣдать-же нужно!

გოგ. да! вотъ вопросъ! (გაიხედავს პირდაპირ) ეს ვინ მოდიან? მგონი ამათ ვიცნობ! მოვდოთ ეგების!..

შალვა. (გაიხედავს პირდაპირ) ჰეე, ძმაო ,,მოდება'' მაგათი მოგონილია, მსახიობებია კაცო, ვერ ხედავ? ესენი აქეთ მოგდებენ ძმაო!..

გოგ. წავიდეთ, წავიდეთ შალვა! უფულო და მომდებნი სხვა კი არა, ჩემი თავიც მეზარება. (ჩქარა გარბიან). **ვეჩე.**

საბჭოთა რუსეთის ღმერთი.

საველმწიფო ატაძრა.